5 დეკემბერს თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა საწვრთნელი მატჩი თბილისის და კიევის დინამოელ ფეხბურთელთა შორის, რომელსაც, როგორც ცნობილია, უეფა-ს თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური შეხვედრები აქვთ ლონდონსა და შტუტგარტში 12 დეკემბერს.

ანგარიში მე-18-ე წუთზე გახსნა ტროშკინმა, რომელმაც კარგად გამოიყენა თბილისელთა დაცვაში დაშვებული შეცდომა. შესვენების შემდეგ რეშკომ უხეშად ითამაშა ებრალიძის წინააღმდეგ, თავისი კარის სიახლოვეს წააქცია იგი და მსაჯმა გ. ბაქანიძემ პენალტი დანიშნა. კიეველთა მეკარე რუდაკოვმა შეძლო ჭელიძის მიერ დარტყმული ბურთის აღება.

73-ე წუთზე გ. ნოდიამ კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს დროზე მოუსწრო და გაათანაბრა ანგარიში, ხოლო მაშინ, როცა მატჩის დასასრულს 5 წუთი აკლდა, გუცაევმა მეორედ აიღო კიეველთა კარი.

2:1 ამ ანგარიშით გაიმარჯვეს თბილისელებმა.

გუნდები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ: თბილისი – გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე (ხინჩაგაშვილი), ხურცილავა, ჭელიძე, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (გუცაევი); კიევი – რუდაკოვი, დამინი, დოცენკო, ფომენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი, ზუევი, კოლოტოვი, ვერემეევი (სემიონოვი), ბლოხინი.

ლელო 7.12.73